

ცნობა

**„სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორის
საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული
წარმოების დაწყების თაობაზე**

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ საკრებულოში დაწყებულია საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დადგენილების მიღების ვადაა არაუგვიანეს 2017 წლის 31 მარტი.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2017 წლის 30 მარტამდე, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში, მისამართზე: ქ. ოზურგეთი, მ. კოსტავას ქ. N1. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული. (პასუხისმგებელი პირი ზაზა შოშიტაიშვილი).

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება N_
2017 წლის _ მარტი
ქ. ოზურგეთი

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორის
საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ**

*„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის
61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების
შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე,
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ*

და ა დ გ ი ნ ა :

მუხლი 1. დამტკიცდეს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები” დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ნინო გოგუაძე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორის
საკვალიფიკაციო მოთხოვნები

მუხლი 1. კვალიფიკაცია და გამოცდილება

1. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების (შემდგომში - საჯარო დაწესებულება) დირექტორი უნდა იყოს 21 წლის ასაკს მიღწეული საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე და ფლობდეს სახელმწიფო ენას, ასევე აკმაყოფილებდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ მოთხოვნებს:

2. საჯარო დაწესებულების დირექტორს:

ა) აქვს უმაღლესი განათლება ნებისმიერ დარგში, ან უმაღლესი პროფესიული განათლება ადრეული და სკოლამდელი განათლების დარგში;

ბ) აქვს დაწესებულებაში/ორგანიზაციაში ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 1 წლის ან/და მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება.

მუხლი 2. სამართლებრივი აქტების ცოდნა

1. საჯარო დაწესებულების დირექტორმა უნდა იცოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტები:

ა) „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონი;

ბ) „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;

გ) „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;

დ) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;

ე) კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ.

მუხლი 3. სხვა საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები

1. საჯარო დაწესებულების დირექტორი უნდა იცნობდეს:

ა) ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებს;

ბ) ბავშვის ჯანმრთელობის, ჯანსაღი კვების, უსაფრთხოების დაცვის პრინციპებს;

გ) ინკლუზიური განათლების პრინციპებს;

დ) უნივერსალური დიზაინის პრინციპებს;

ე) განათლების ძირითად თეორიებს;

- ვ) კვლევის მეთოდებს განათლებაში;
- ზ) ადრეული განათლების თავისებურებებს და პრინციპებს;
- თ) ორგანიზაციული ქცევის თეორიულ საფუძვლებს;
- ი) ლიდერობის თანამედროვე თეორიებს;
- კ) სტრატეგიული გეგმის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების პრინციპებს.
- ლ) ფინანსური მართვის საფუძვლებს;
- მ) პროექტის შემუშავების და მართვის პრინციპებს;

2. საჯარო დაწესებულების დირექტორს უნდა შეეძლოს:

- ა) ადამიანური რესურსების მართვა;
- ბ) მოლაპარაკების წარმოება და ადვოკატირება;
- გ) სტრესულ სიტუაციებში მუშაობა;
- დ) პრაქტიკული კვლევის დაგეგმვა, განხორციელება, შედეგების ანალიზი;
- ე) დაწესებულების მუშაობის ეფექტურობის შეფასება;
- ვ) დოკუმენტაციის წარმოება;
- ზ) კომპიუტერულ პროგრამებში Word, Excel, Power Point მუშაობა;
- თ) დოკუმენტაციის ელექტრონული და ბეჭდური ფორმით წარმოება.

მუხლი 4. საჯარო დაწესებულების დირექტორად მიღების დაუშვებლობა

1. საჯარო დაწესებულების დირექტორად არ მიიღება პირი, თუ:

- ა) იგი ნასამართლევაა განზრახი დანაშაულისთვის;
- ბ) მან არ წარმოადგინა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის მიხედვით ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ან წარმოდგენილი ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ადასტურებს მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს.